პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 89 (13210) | პარასკევი, 16 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ВИН ИДНЕБА МЕДРОШЕ •

ქართველი ბიბლიოთეკა

კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის ძალაა

ჩვენს ქვეყანაში შემოქმედებითი მუშაობის გაზრდილი მასშტაბი, კომუნისტური მშენებლობის რთული ამოცანები სულ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას. თანამედროვე პირობებში განუზომლად იზრდება ადგილობრივი პარტიული ორგანოების როლი, მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, თავიანთი რაიონების, ოლქების და რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული განვითარებისათვის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებისა და ადამიანების კომუნისტური აღზრდისათვის.

წარმატებით რომ გადაწყვეტოთ ეს ამოცანები, განვახორციელოთ სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული ხელმძღვანელობა ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბნისადმი, მარტო სურვილი როდია საკმარისი. ამისათვის საჭიროა უნარი, ცოდნა, მუდმივი მუშაობა ბაზაში. საჭიროა ყოველმხრივ გავითვალისწინოთ მასების გამოცდილება და განწყობილება, საჭიროა ეროვნული გონება. სწორედ გადაწყვეტილებებისა და მოქმედების კოლექტიურობა ანიჭებს პარტიულ ხელმძღვანელობას მძლავრ ძალას, განამტკიცებს მის გავლენასა და ავტორიტეტს, საშუალებას აძლევს გააერთიანოს ბევრი ადამიანის ტალანტი, ცოდნა და გამოცდილება დიდ საქმეთა შესასრულებლად.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმადლესი პრინციპია. პარტიული ორგანიზაციების ნორმალური საქმიანობის, კადრების სწორად აღზრდა, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარების აუცილებელი პირობაა. პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში კოლეგიალობა საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ საქმის ვითარება, მინიმუმამდე დავიყვანოთ შეცდომათა შესაძლებლობა, არ დავუშვათ თვითნებური, სუბიექტური მიდგომა საქმისადმი, ნათლად ვხედავდეთ პერსპექტივას და მტკიცედ ვმოქმედებდეთ.

ჩვენი პარტია განსაკუთრებით ზრუნავს ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის დაცვისათვის. XXII ყრილობაზე მიღებულ სკკპ პროგრამასა და წესდებაში გათვალისწინებულია ამ პრინციპის განუხრელი განხორციელების საჭირო გარანტიები. კოლექტიური გონების, შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინების ახალი შესაძლებლობანი შექმნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრისა და მარტის პლენუმებმა.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობას, მის ეფექტიანობას მარტო ის როდი უზრუნველყოფს, რომ რეგულარულად ვიწვევდეთ პარტიულ კრებებს, კომიტეტების პლენუმებს, ბიუროების სხდომებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად. კრებები და პლენუმები მით უფრო დიდ მაორგანიზებელ და მამობილიზებელ როლს ასრულებენ, რაც უფრო ღრმად და სწორად ასახავენ ცხოვრების მოთხოვნებს, მშრომელთა მოთხოვნილებებს. მათი დონე და ქმედითობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიული კომიტეტი კომუნისტებისა და უპარტიოების მასებთან, თუ რამდენად ითვალისწინებს მათს გამოცდილებას, აზრებსა და წინადადებებს, რამდენად სწორად უკეთებს ანალიზს საქმის ვითარებას. ფრიად საჭიროა აგრეთვე, რომ კრებებსა და პლენუმებზე შევქმნათ პირობები მომწიფებული პრობლემების ნამდვილად შემოქმედებითი, პრინციპული, საქმიანი განხილვისათვის. აფონ-დაფონოთ ყველა პლუსი და მინუსი, კრიტიკულად შევაფასოთ გაწეული მუშაობა, მივიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი.

ახლა პარტიული აქტივის კრებების შემდეგ იმართება მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც განიხილავენ, თუ რა კონკრეტული ამოცანები ეკისრებათ პარტორგანიზაციებს, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა და 1965 წლის 1 მაისიდან ძალაში შეჰყავს კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის იმ უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე ნაკლები ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის და ღორის (საბეკონე, მსუქანი და სახორცე) მოქმედი ფასების საშუალო დანამატები პროცენტობით, რომლებსაც მიჰყიდიან სახელმწიფოს. ეს დანამატები მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებულია შემდეგი ოდენობით: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 20-დან 55 პროცენტამდე, ღორისა — 30-დან 70 პროცენტამდე, ცხვრის და თხისა კოლმეურნეობებისათვის — 10-დან 70 პროცენტამდე, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 10-დან 60 პროცენტამდე.

რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ მაღალი მთის რაიონების კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის ცხვრისა და თხის მოქმედი ფასების დანამატები წესდება 100 პროცენტის ოდენობით.

კალინინგრადისა და პერმის ოლქების და უდმურტეთის ასსრ, რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთის, ცენტრალური და ვოლგა-ვიატკის რაიონების, უკრაინის სსრ პოლესიეს რაიონების კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს ცხვრისა და თხის მოქმედი ფასების დანამატები უწესდებათ 70 პროცენტის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დიფერენცირებულად დაწესონ ზონების მიხედვით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, თხისა და ღორის ფასების დანამატები ამ დადგენილებით დაწესებული დანამატის საშუალო ოდენობის ფარგლებში და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ ეს დანამატები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებლად, საკვები ბაზის განსამტკიცებლად და შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მოზდილი რძის ფასის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 1 მაისიდან დააწესა იმ მოხდილი რძის ფასი, რომელსაც რძის მრეწველობის საწარმოები აძლევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რძეს მიჰყიდიან სახელმწიფოს, ტონაზე 10 მანეთის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ დააწესონ კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოხდილი რძის მიცემის ნორმები.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმ რაიონებში, რომლებიც რძეს აწოდებენ ქალაქებს, სამრეწველო ცენტრებსა და კურორტებს, აგრეთვე რძის საკონსერვო ქარხნების მომქმედების ზონებში, ეძლევათ, როცა რძის მეცავურობა (პუნქტებსა და ქარხნებში მისი მიღების მომენტისათვის) 19 გრადუსი და უფრო ნაკლებია, ფასის დანამატი ცენტნერზე 50 კაპიკის ოდენობით. ხოლო როცა მეცავურობა 19 გრადუსს აღემატება, ცენტნერი რძის ფასი მცირდება 50 კაპიკით.

რძის ცხიმიანობის საბაზისო ნორმის შეცვლის შესახებ

ძროხის რძის საბაზისო ცხიმიანობის საშუალო ნორმები, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეთა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობები მიჰყიდიან სახელმწიფოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 1 მაისიდან დააწესა შემდეგი ოდენობით (რძის წონის პროცენტობით): რუსეთის სფსრ — 3,7, უკრაინის სსრ — 3,6, საქართველოს სსრ — 3,6, ლიტვის სსრ — 3,4, მოლდავეთის სსრ — 3,5.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ ძროხის რძის საბაზისო ცხიმიანობის ნორმები (რძის წონის პროცენტობით) ოლქებისათვის, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის იმ საშუალო ნორმის ფარგლებში, რომელიც ამ დადგენილებით დაწესდა შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკას.

რძის საბაზისო ცხიმიანობის შეცვლასთან დაკავშირებით იზრდება 1965 წლისათვის დადგენილი რძის შესყიდვის გეგმა: რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში 500 ათასი ტონით, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 150 ათასი ტონით და ლიტვის სს რესპუბლიკაში — 10 ათასი ტონით.

სამაისო ვახტაზე

იქნება 10 დღით აღრე

ბიათურა. (საკ. კორ.). აქაური მაღაროელები, მშენებლები, რკინიგზელები გამოეხმაურნენ გ. ჩადუნელის პატრიოტულ თაოსნობას და ჩაებნენ საპირველმაისო შეჯიბრებაში.

მაღაროს საწარმოო უბნები, მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ცალკები ბრიგადები ჩაებნენ მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადებისა და საპირველმაისო დემონსტრაციაზე დროშის ტარების უფლების მოპოვებისათვის. შეჯიბრება გაჩაღდა მეოთხე უბნის კოლექტივმა და მაღნის გამამდიდრებელი კომუნისტური შრომის ფაბრიკის კოლექტივმა.

მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მაღალი ხარისხის მაღნის დამზადების ოთხი თვის დავალება ათი დღით აღრე შეასრულოს, დაზოგოს 60.000 მანეთი.

ზეგეგმითი სათგოგი

ახალციხე. (საკ. კორ.). შვიდწლედის დავალებათა ვადაზე აღრე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს სამთოელები, რომელთა ვალდებულებაა 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ წლიური გეგმა.

მაღაროელებმა ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის დავალება 104,7 პროცენტით შეასრულეს. გეგმის ზევით ამოღებულია 2.000 ტონაზე მეტი სათბობი.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 1 შახტის კოლექტივი. მის ანგარიშზეა 1.266 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი. თავი ისახელა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც რაიონული საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი ი. ტეფნაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრებმა 118 პროცენტით გაანაღდეს პირველი კვარტალის დავალება.

ახალი პროდუქცია

თავს იწონებენ თაროებზე კოხტად ჩამწკრივებული, გემოვნებით გაფორმებული თანამედროვე ორიგინალური სტილის ყელმაღალი სუნამოები. „პატარა ჭინჭილები, „პინგვინები", „ბაშნიკები", „ჭედილები", ორადგილიანი საყვავილეები...

ეს ახალი ნიმუშის კერამიკული ნაწარმი საპირველმაისო საჩუქრად მოუმზადა რესპუბლიკის მშრომელებს თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიური ქარხნის კოლექტივმა.

სხვა სიახლეც არის ამ საწარმოში. ახლახან აქ აითვისეს ბროლისა და მინის ჭურჭლის გასაწმენდი ნივთიერება „ნიტეინოლი", სარეცხი საშუალება „გედი" და სხვ.

კარგად იშრომა პირველ კვარტალში ქარხნის კოლექტივმა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 108,5 პროცენტით შეასრულეს, სასაქონლოსი — 104,3 პროცენტით.

წინასამაისო შრომითს ვახტზე კარგი მაჩვენებლები აქვს № 1 საამქროს კოლექტივს. მან 120 პროცენტით შეასრულა კვარტალის დავალება. კარგად მუშაობენ აგრეთვე № 5 და № 3 საამქროების კოლექტივები, რომლებიც ყოველთვიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საქველიერო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების, ანტიიმპერიული კოალიციის მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერი ისტორიკოსები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები, ოფიცრები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გენერლები და ოფიცრები.

კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

დამსწრეთ მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში.

მოხსენება — „დიდი სამამულო ომის ისტორიული შედეგები და გაკვეთილები" გააკეთა აკადემიკოსმა პ. ნ. პოსპელოვმა.

ექსპერიმენტი გრძელდება

მოსკოვი. (საკდესის კორ.). „სტა-102" უჩვეულო რადიოწყაროს დაწვრილებით დაკვირვებას მიეძღვნა ჟურნალისტების შეხვედრა შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებთან.

პროფესორმა ი. ს. შკლოვსკიმ აღნიშნა, რომ კვლავ უნდა განვაგრძოთ იმ მიზეზების ძიება, რომლებითაც აიხსნება „სტა-102" რადიოსიგნალების უჩვეულობად. უკანასკნელი დაკვირვებების მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გამოსხივება ხელოვნური წარმოშობისაა, „მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, თუმცა ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი", — განაცხადა მეცნიერმა.

ეფონალისტებთან საუბარში მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია გარკვეული პასუხის გაცემა კითხვაზე: ხელოვნური თუ ბუნებრივი ხასიათი აქვთ „სტა-102" რადიოგამოსხივებას. ინსტიტუტის თანამშრომლები ემზადებიან დაკვირვებათა ახალი სერიისათვის.

აღინიშნა, რომ ახლა საჭიროა გაირკვეს, იცვლება თუ არა წყაროს ოპტიკური სიკაშკაშე. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მანძილი „სტა-102"-მდე.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აგრეთვე გ. შოლომიცკი, რომელმაც დაადგინა „სტა-102" წყაროს რადიოგამოსხივების ცვლადობა, და ნ. კარდაშევი, ამ წყაროს ხელოვნური წარმოშობის შესაძლებლობის ჰიპოთეზის ავტორი.

ახალი ნავთობსადენი

მოსკოვის მაგისტრალური მილსადენების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა დაამთავრა ბაქო-ბათუმის ახალი ნავთობსადენის ტრასის პროექტი. მაგისტრალი იწყება აზერბაიჯანის სარეწაზე. „შავი ოქრო" გაივლის 824 კილომეტრს და მიეცემა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. ნავთობის ნაწილი საექსპორტოდ წავა.

ტრასა მეტად რთულია. განსაკუთრებით ძნელია ხაშური-ბათუმის უბანი. აქ მილსადენი 1.000 მეტრ სიმაღლეზე გადაკვეთს ულელტეხილს. შემდეგ ტრასა გაივლის კოლხეთის დაბლობის მრავალრიცხოვან ჭაობებში. (საკდესის კორ.).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 15 აპრილი. (საკდესის კორ.). მოსკოვში, შრომის სასახლის დიდ დარბაზში დღეს გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს მეექვსე პლენუმი. მოხსენება — პროფსიუოული კავშირების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მინსკში

მინსკი, 15 აპრილი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი მეთაურობს, განაგრძობდა ბელორუსი ხალხის ცხოვრების გაცნობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ა. ნ. შელეპინთან, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან პ. მ. მაზუროვთან, ბელორუსიის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ტ. ი. კისლიოვთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად მონღოლმა მეგობრებმა დაათვალიერეს მინსკის კამეოლის კომბინატი.

ი. ცედენბალი და მისი თანამგზავრები გაეცნენ წარმოებას. შემდეგ გაემართა შეხვედრა საწარმოს კოლექტივთან, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ი. ცედენბალმა.

გმირთა სსოვნის ტყე

ვოლგოგრადი, 15 აპრილი. (საკდესის კორ.). ლეგენდარულ ქალაქ ვოლგოგრადში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — დარგონ ხეები დიდი სამამულო ომის გმირთა პატივსაცემად. ასობით ადამიანი გამოდის გაზაფხულის ამ დღეებში მამაის ყორღანზე — სტალინგრადიისათვის ყველაზე გაფაფხრებული ბრძოლების ადგილას, — რათა დარგოს იქ წაბლის, ვაშლის, არყის, ალვის ხეები.

ლეგენდარული მამაის ყორღანის ფერდობებზე უკვე ას ჰექტარზე გაშენდა ახალგაზრდა ტყე, რომელიც ამ ბოლო წლებში დარგეს. ვოლგოგრადის მცხოვრებლები რგავენ ახალ და ახალ ხეებს საბჭოთა სამშობლოს გმირი დამცველების ხსოვნისათვის.

საბჭოთა პარლამენტარები დუბლინს ნავიდნენ

15 აპრილს საბჭოთა პარლამენტის დელეგაცია მოსკოვიდან დუბლინს (ირლანდია) წავიდა საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. პ. ბოჩკარიოვი, ა. თ. გორკინი, თ. დ. ოვჩარენკო, ე. მ. ნანობაშვილი და ნ. ტაჩმურადოვი.

საპარლამენტთაშორისო კავშირის საგანგებულო სხდომებზე რომლებიც 19 აპრილიდან 25 აპრილამდე გაიმართება, განუცხადა გამგზავრების წინ საკდესის კორესპონდენტს ი. ვ. პეივემ, განვიხილავთ საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებს.

ი. ვ. პეივემ თქვა, რომ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფმა საბჭოს სხდომების განსახილველად შეიტანა მემორანდუმები შემდეგ საკითხებზე: განიარაღებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება, საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის ახალი პერსპექტივები, ტელევიზიისა და სხვა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდისათვის მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

საბჭოთა პარლამენტარებმა განსახილველად გაგზავნეს აგრეთვე რეზოლუციის პროექტები, რომლებშიც გადაჭრით არის დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენცია ინდოჩინეთის რაიონში, და პროექტი რეზოლუციისა იმის შესახებ, რომ ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა თავდაუსხმელობის პაქტი დადონ. (საკდესი).

კაგლო ნერუდა მოსკოვში

14 აპრილს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა ჩილის მწერალი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე პაბლო ნერუდა. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისათვის

დიდი ცხოვრების ფურცლები

მოსკოვი, 14 აპრილი. (საკდესის კორ.). სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდია" დიდი დაბადების 95 წლისთავს აღნიშნავს ასი ათასი ხანგრძლივსაკრავი ფირფიტის „ვ. ი. ლენინის ცხოვრების ფურცლებისა" გამოშვებით.

აყიღრებულ ფურცლებს, რომლებიც აღბეჭდილია ორ გრამფირფიტაზე, ჩვენს დღეებამდე მოაქვთ ილიჩის ცოცხალი სიტყვები, ჩვენს წინაშე აღსდგება მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომხდარი რევოლუციური მოვლენები და თითქოს გადავყავართ ამ პეროდის ატმოსფეროში.

ჩანაწერებში არის ნ. კ. კრუპსკაიას, ვ. ი. იაროსლავსკის, ე. დ. სტასოვას, ფ. ი. კონის, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის, ვ. ა. კარპინსკის მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, მ. ი. კალინინის, გ. მ. კრიჟანოვსკის, გ. კ. ორჯონიკიძის გამოსვლები.

ფირმა „მელოდიის" საწარმოებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებს გაუგზავნეს რამდენიმე ათეულ ათასი გრამფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილია ვ. ი. ლენინის სიტყვები და გამოსვლები.

ჩვენს ღიად — საკავშირო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წლის) პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილებანი:

ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა და 1965 წლის 1 მაისიდან ძალაში შეჰყავს კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის იმ უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე ნაკლები ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის და ღორის (საბეკონე, მსუქანი და სახორცე) მოქმედი ფასების საშუალო დანამატები პროცენტობით, რომლებსაც მიჰყიდიან სახელმწიფოს. ეს დანამატები მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაწესებულია შემდეგი ოდენობით: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 20-დან 55 პროცენტამდე, ღორისა — 30-დან 70 პროცენტამდე, ცხვრის და თხისა კოლმეურნეობებისათვის — 10-დან 70 პროცენტამდე, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 10-დან 60 პროცენტამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს

ადგილობრივ ადგილებზე

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ეკონომიკური

ᲕᲐᲙᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲡᲢᲐᲢᲘ — ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ, ᲐᲚᲛᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲚᲔᲚᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ. ᲤᲝᲗᲝᲡᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲡᲣᲠᲓᲐᲗ ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝ-ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ

საბჭოთა ცხოვრება

სმოლნის ტელეგრაფისტი ქალი

ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად

ვარშავა, 14 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ბევრნი ცხოვრობენ, რომლებიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ მონაწილეობდნენ ახ ბოლშევიკურ ამბებისა, რომლებმაც ახალი ფეო

ზვეიკის ახალი სიცოცხლე

ი. ჰაშეკის რომანი სოხუმის თეატრის სცენაზე

◆

რომელ ჩვენგანს არ წაუკითხავს იარაოსლავ ჰაშეკის განთქმული რომანი ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკის თავგადასავალზე? ვინ არ მოუხიბლავთ თავიანთი დიდებული, ბრწყინვალე იუმორით, მოსაზრებულობითა და ნამდვილად ხალხური სტილით ავტორსა და ძის გმირს! და როცა ჩვენამდე ხმა მოვიდა იმის შესახებ, რომ სოხუმის დრამატულმა თეატრმა ი. ჰაშეკის რომანის ინსცენირების დადგმა განახორციელა, საკმაოდ კანონზომიერად დაგვებადა ინტერესი თეატრის ამ გბედული ექსპერიმენტისადმი და მისი ნახვის სურვილი. და აი სოხუმის თეატრი თბილისშია. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე ორ საღამოს ზედიზედ წარმოადგინა სოხუმის დრამის ქართულმა დასმა თავის სპექტაკლი **„ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“.**

სიახლეგაზრდაე ყოველთვის გამბედავია, და იქ, სადაც შემართებათა გამბედაობა საჩრდილია, სადაც საღი გონება ადგილს არ უთმობს „ნოვატორობის“ შიშველ აზატს, სადაც გარეგნული ფორმის ძიება არ ეწინააღმდეგება თეატრის მაღალ იდეურ პრინციპებს, იქ ძიების შედეგი დადებითია.

გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ ინსცენირების ავტორს, ახალგაზრდა რეჟისორს ს. მრეველიშვილს (იგივე — სპექტაკლის დამდგმელი), დიდი და სერიოზული მუშაობა გაუწევია. ინსცენირებისათვის ფრაგმენტების არჩევის თვალსაზრისით ი. ჰაშეკის რომანის გააზრებისას მრეველიშვილი რთული ძიებების წინაშე იდგა. მწერალ ი. ჰაშეკის ოსტატობა თითქმის შეუძლებელს ხდის უპირატესობის მიცემას რომანის რომელიმე ეპიზოდისათვის. და ს. მრეველიშვილმა მაინც შეძლო „გამოეწურა“ მთავარი, არსებითი, ის აუცილებელი რამ, რაც მაყურებელს უფლებას აძლევს იმსჯელოს არა მარტო ი. ჰაშეკის ნაწარმოების პრობლემატიკაზე, არამედ ინსცენირების ავტორის, შემდეგ კი მთელი დამდგმელი კოლექტივის პოზიციაზეც, და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ს. მრეველიშვილის ინსცენირება (როგორც საერთოდ ყოველი ინსცენირება) ბევრ რამეში ჩამოუვარდება პირველწყაროს, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სპექტაკლისათვის მასალა შერჩეულია სავსებით გააზრებულად, დახვეწილად და ტაქტით.

ი. ჰაშეკის რომანის სატირულმა, პამფლეტურ-პუბლიცისტურმა წყობამ განსაზღვრა სპექტაკლის ფორმაც, რომელშიც გამოვლინდა რეჟისორ ს. მრეველიშვილისა და მხატვარ ე. კოტლიაროვის მოსაზრებულობა, გამჭრიახობა და გონებამახვილობა, მათი აზროვნების სატოვნება. რეჟისორსა და მხატვარს არ ეშინიათ

გაბედული, თამამი ხერხებისა, დეტალებისა და რაკურსებისა. ადგანან რა განზრახ გადაჭარბებით გზას, ისინი ზოგჯერ მთლიანად ააჭარავებენ ხერხს, რომელსაც სხვა პირობებში შეიძლება კიდეკაც შეეცბუნებინა მაყურებელი. მაგრამ ეს დეტალები მოცემულია როგორც მთლიანი, ერთიანი სატირული სახის მხატვრული დეტალები, როგორც მხატვრული გადაჭარბებანი და ამიტომ სულაც არ ეწინააღმდეგება ერთიანობას და არც სმენას. ისინი თითქოს ჩაქსოვილია ნაწარმოების საერთო იდეურ-შინაარსობრივ ქსოვილში, დაკავშირებულია მის არსთან, შეხამებულია მის დინამიკურ სცენურ ფორმასთან. სურათების სწრაფი, მე ვიტყოდი, კინემატოგრაფიულად სწრაფი შეცვლა არ განგაცდევინებს დუნე ფრაგმენტულობის შეგრძნებას, რადგან მოქმედების შეცვლა ჯარგად აქვს დამუშავებული რეჟისურას სცენის წრის ბრუნვის შემწეობით. ამით მიღწეულია მოქმედების თითქოს განუწყვეტლობა, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ სპექტაკლში, სადაც ყოველი სხვა სცენური ფორმა „დაამძიმებდა“ მოქმედების რიტმს.

მაგრამ ის, რაც ვთქვით, მაინც არ ნიშნავს, რომ სპექტაკლში ყველაფერი თანაბრად კარგი იყოს. ბრწყინვალე დინამიკური, მწყვეტ სცენების გვერდით (სცენები საავადმყოფოში, მატარებელში, ლუკაშის ბინაში და სხვ.) რამდენადმე რიტმულად გაჭიანურებულია, მაგალითად, ისეთი სცენები, როგორიც არის სცენა ეკლესიაში (შვეიკის ლაპარაკი ფელდკურატთან). ისინი თუმცა საერთო რიტმს ეთიშებიან, მაგრამ მაინც არ ძალუძთ შეასუსტონ რეჟისორული ჩანაფიქრის აღქმის მთლიანობა, მისი პოზიციის თანმიმდევრული პრინციპულობა, რომლებიც აქტიორულ შესრულებასაც ახასიათებენ.

სპექტაკლის ცენტრშია შვეიკი. ფ. გაბელაიას შესრულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მსახიობი შესამჩნევად გაიზარდა, შემოქმედებითად განმტკიცდა. ამ რთულ როლში იგი წუთითაც არ სცილდება დასაშვების ფარგლებს, არ აზვიადებს იმ გარეგნულ მდგომარეობათა კიბიჯს, რომლებშიც ექცევა ხოლმე მისი შვეიკი და რომლებიც შეიძლება მაცთუნებელი გახდეს მსახიობისათვის. მის თამაშს ახასიათებს ზომიერების ბრძნობა. და თუმცა სახის გაზრებაში მას აკლია მხატვრული განზოგადების ძალა, თანამედროვე ჩეხური ლიტერატურის ამ გახმაურებული, გრანდიოზული, საზოგადო (სიმბოლოს ხარისხამდე!) სახის ტიპიზაციის უდიდესი ძალა, მიუხედავად ამისა, ის სარბილი, სიმართლე და სიმწვავე, რომლითაც შ. გაბელაია ასრულებს ამ როლს, უფლებას ვვაძლევს ვილაპარაკოთ მის წარმატებაზე.

ორიგინალურია რეჟისორის ხერხი მოქმედ პირთა განლაგებაში. ერთი და იგივე მსახიობები თამაშობენ სამ-სამ და მეტ როლს (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შ. გაბელაია — შვეიკი და ა. ხერხაძე, რომელიც თავშეკავებულად ასრულებს ისტორიკოსის როლს). ტრანსფორმაციის ეს თავისებური ხერხი სავსებით შეესაბამება სპექტაკლის ყანრს, მისი პირობითი ფორმის სტილს. ამასთან თვითეული შემსრულებელი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ექცევა, ვინაიდან ტრანსფორმაცია მათგან მოითხოვს დიდ ოსტატობას, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმას, რასაც თეატრის ენაზე გარდასახვის ხელოვნება ეწოდება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა მსახიობი თანაბარი ძალით როდი ფლობს ამ ხელოვნებას. ყველა თანაბრად როდი ძლევს თავის სამეიე როლს. ეს განაგებიც არის. ხელოვნებაში „გათანაბრება“ არ შეიძლება. მაგრამ მთლიანად აქტიორული შესრულებისაგან რჩება იმავე ზომიერად მოკავმული კომედიურობის, საერთო ხმაშეწყობისა და სცენური პირობითობის სწორად შეგრძნების შთაბეჭდილება.

შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ვ. ნინიძე (ექიმი—ფსიქიატრი, გენერალი და პირველი ავადმყოფი). მსახიობი არა მარტო მკაფიო და გამომიტყვე�eა გაბედული დეტალებით, არამედ ღრმად დამაჯერებელია არის შინაგანი განწყობილების სარწმუნოობის აზრით. ხოლო სტანისლავსკის მიხედვით სწორედ ეს არის ნამდვილი გროტესკი. გამომსახველ საშალებათა მრავალფეროვნებით გაგვაჯარა თინა ბოლქვაძემაც (პანი მიოლარი, ბ. რონესა და ქალი ლუკაშის სახლში). განსაკუთრებით ჯარად გამოუვიდა მას სცენა შვეიკთან ლუკაშის სახლში, სადაც მსახიობმა დაგვანახვა თავისი რეჭნიკა, იუმორის გრძნობა, ჟანრის დახვიწილი შეგრძნება.

ჟანრის სპეციფიკა ჯარად შეუგრძნია სხვა შემსრულებლებსაც — თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს. ესენი არიან — გ. ხოროცლაკა, რომელმაც შექმნა სამი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პორტრეტი — ექიმისა (ამ სახეში ის სოლიდურად სასაცილოა), ფელდკურატისა და ლეიტენანტ დუბისა; ლ. თილფანი, რომელმაც ჯარგად ითამაშა მაიორ-ლეიტენანტი ლუკაში, გ. რატანი, რომელმაც ოცხვეწილი იუმორით შეასრულა ბრიტშნეიდერის, მეორე ავადმყოფის, ვახმისტრის და ნებითვანწყესებული მარეკის როლები. თავიანთი როლები დაძლიეს მ. გვალიამ (პოლიციის უფროსი, რეინიგზელი, ჯარისკაცი ბალოუნი და ი. ოკროპირიძემ (პატიმარი, სანტარი, ფელდფებელი, ჯარისკაცი).

სოხუმის თეატრის სპექტაკლს ხალინით, შეუნელებელი ყურადღებით უყურებ. ეს გვიფიქრებინებს, რომ თეატრს აქვს დიდი პოტენციური შესაძლებლობანი, რომ მის კოლექტივს შეუძლია ქმნიდეს საინტერესო სპექტაკლებს.

ეუსურეთი სოხუმის თეატრის მთელ კოლექტივს წარმატება შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

ე. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი“: შვეიკი — მსახიობი შ. გაბელაია, ქალი ლუკაშის სახლში — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბოლქვაძე.

ნებისყოფის გამოცდა

„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 3:2 (1:1). თბილისი. 15 აპრილი „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ს. ალიმოვი (მოსკოვი).

„ჩერნომორეცი“ — გოროდენკო, მედკინი, ზაბოლოტნი, ხოლოდკი, ხრომოვი, დერიაბინი, ჩებოტარიოვი, კორშუნოვი, მოსკალენკო, ლობანოვსკი, საკი; **„დინამო“** კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხუროცლავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი.

გუშინ გაზეთ „კომუნისტში“ ვწერდი, რომ ჩემპიონი მოვალეა განსაკუთრებული ნებისყოფა, სიმტკიცე და გამძლეობა გამოიჩინოს. თუ ეს ძველი სპორტული ჭეშმარიტება კარგად იცან ვთქვათ, პირველობებში მრავალგზის გამარჯვებულებმა — მოსკოვის „დინამომ“ და „სპარტაკმა“, სამაგვირად ახალგაზრდა ჩემპიონის წინაშე, როგორიც თბილისის გუნდია, ეს ჭეშმარიტება მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა მხოლოდ გუშინდლიდან. და პირველსავე ტურმა ცხადყო, რომ ჩემპიონს მაისურა არა იმდენად ლამაზი და სანატრო ტანსაცმელია, რამდენადაც სამუშაო. მას რომ ჩაიცვამ, უნდა იშრომო.

თითქოს ჩემპიონს სერიოზულად შესაშფოთებელი არაფერი ჰქონდა. თამაშობდა თავის მოედანზე, თანაც უმაღლესი ლიგის ახალბედასთან. და მიუხედავად ამისა თბილისელებმა თავიანთ კარში გაუშვეს ორი ბურთი. ათი წუთის განმავლობაში წასაგები ანგარიში ჰქონდათ, და გაფთრებული შეტევა დასჭირდათ, გამარჯვებისათვის რომ მიეღწიათ. დინამოელებმა ამ მატჩში სამი ქულა აიღეს. ნუ გაგვკვირდებათ. ორი — ჩემპიონატის ცხრილში და ერთი — ბრძოლაში, „გამარჯვების ნებისყოფისათვის“ გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მიერ დაწესებული პრიზის მოსაპოვებლად. გახსოვთ ეს პირობები? ამ პრიზს აძლევენ იმ გუნდებს, რომლებსაც სხვებზე უფრო ხშირად მიუღწევიათ საერთო გამარჯვებისათვის, როცა მატჩის მსვლელობაში აგებდნენ.

მე მგონია, რომ მესამე დამატებითი ქულა, რომელიც გუშინ თბილისელებმა აიღეს, განსაკუთრებით სასიხარულოა, იმიტომ რომ ასეთი გამარჯვება მოწმობს სპორტული თავმოყვარეობისა და სიმტკიცის მარაგს, იმ თვისებებს, რომლებიც ჩემპიონს ისევე სჭირდება, როგორც საიერიშო კომბინაციების უნარი.

გუშინდელი მატჩი საგაზაფხულო იყო თავისი აპრილის თარიღითაც და ოპერაციების ხასიათითაც.

მხოლოდ ერთი გოლი. პირველი, რომელიც 23-ე წუთზე თავით გაიტანა მაისურაძემ მას შემდეგ, რაც მეტრეველი მძაფრად გიჭრა კარის ხაზისაკენ და მაღალი პასი გადასცა, შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალი კლასის თარიგს. დანარჩენი გოლები — როგორც ერთ, ისე მეორე კარში — შედეგი იყო აშკარა შეცდომებისა, რომლებიც ყოველთვის ახასიათებს ჩემპიონაცის დასაწყისს.

თბილისელებმა შეხვედრა რამდენადმე დუნედ დაიწყეს და შესაძლებლობა მისცეს მოწინააღმდეგეს მოეპოვებინა ტერიტორიული უპირატესობა. მართალია, ამ პირველ 20 წუთშიც

სურათებზე: ზემოთ — დინამოელებს მაისურაძესა და ბარქაიას ერთმანეთი მიაქვთ მეტოქის კარზე. ქვემოთ — „ჩერნომორეცის“ კარი აღებულია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

* * *

„ბორკეადო“ (ქუთაისი) — **„დინამო“** (მინსკი) 0:2 (0:1). ქუთაისი. 15 აპრილი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიკოვი, მოზერი, კონოვალოვი (არზამასცევი), ადამოვი, მუტაგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი; **„ბორკეადო“** — ლეჟავა, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, მანზიიჩეკი, ოდიკაძე, კუტივაძე, კოპინი, უზუბაია, ჩხარტიშვილი, ხაჟალია (ბოლაძე), ხერხაძე.

სეზონის გახსნის დღეს არც ქუთაისში იყო ხელსაყრელი ამინდი,—წვიმდა. მიუხედავად ამისა, მეტოქეები იბრძოდნენ გამარჯვების წყურვილით.

თუ დასაწყისში თანაბარი ბრძოლის მოწმენი ვიყავით, შემდეგში თავი იჩინა სტუმართა უპირატესობამ. 21-ე წუთზე ლეჟავამ იხსნა კარი კრიტიკული მოძალებისაგან, მაგრამ 35-ე წუთზე ტორპედოელთა კარი მაინც აიღეს. გოლის ავტორი იყო მალაფეევი.

მეორე ხახევარში მასპინძლები ცდილობენენ წონასწორობის აღდგენას, მაგრამ „ბორკა“ „დინამოელთა“ კარი. 87-ე წუთი კვლავ სტუმართა წარმატებით აღინიშნა. ამჯერადაც ბურთი მალაფეევმა გაიტანა.

ამრიგად, მინსკის დინამოელებმა სტარტზე პირველი ორი ქულა მოიპოვეს.

შ. ჯავახაძე,
საკ. კორ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში საზეიმოდ აღმართეს სსრკავშირის XXVII ჩემპიონატის ალამი.

პირველი სიურპრიზი ბაქოში მოხდა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ აღგილობრივი „ნეფტიანიკი“ და გასული წლის პრიზიორი მოსკოვის „ტორპედო“. მასპინძლებმა აღმავლობით ჩაატარეს შეჯიბრება და გიამარჯვეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს **ბანიშევსკიმ, მარქაროვმა** და **ტუაიევმა.**

დებიუტანტს — ტაშკენტის „პახტაკორს“, რომელიც საკუთარ მოედანზე თამაშობდა, წარმატებითი სტარტი ჰქონდა. მან დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოცდილი კოლექტივი — მოსკოვის „სპარტაკი“ 1:0. ერთადერთი ბურთი 23-ე წუთზე გაიტანა კრასნიცკიმ.

სსრ კავშირის თასის მფლობელებს კიევის დინამოელებს სტარტზე პაექრობა ჰქონდათ მოსკოველ თანაყოლებელებთან. საბოს მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება კი